ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5711419

ნომერი: AR1865449

თარიღი : 01.12.2021

გაცემის თარიღი : 03.12.2021

გაცნობის თარიღი : 03.12.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მიხეილ გახოკიძის ქუჩა, N 24;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიად გეგუჩაძე პ/ნ 01001075335
- თბილისი გლდანი III მ/რ კორ. 82 ბ. 6

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: არსებული სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობა (ფართობით) არ წარმოადგენს I კლასის შენობას, ხოლო წარმოდგენილი მონტაჟის მიხედვით მასზე ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოები საჭიროებს პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვას და შესაბამისად I კლასის კუთხით ვერ განიხილება. ამასთან, წარმოდგენილი ფოტომასალის მიხედვით დგინდება, რომ მშენებლობა დაწყებული გაქვთ უნებართოდ და ქ, თბილისსი მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოების კანონიერების საკითხის შესწავლა.

იმისათვის, რომ საკითხი განხილულ იქნას I კლასის კუთხით, საჭიროა ობიექტი მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში, კერძოდ, მოხდეს უნებართოდ მოწყობილი კონსტრუქციის დემონატჟი, რომელიც ასევე თავის მხრივ ხორციელდება მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული მითითების საფუძველზე, რის შემდგომაც უნდა წარმოადგინოთ მუნიციპალური ინსპექციის დადგენილება დემონტაჟთან დაკავშირებით და დემონტაჟის შემდგომ გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, გადაღების თარიღის ფიქსაციით და მოითხოვოთ კეხის, ქანობის და კონფიგურაციის უცვლელად სახურავის საფარის (მარტო მასალის) გამოცვლა ან დოკუმენტაცია ატვირთეთ შესაბამისი კლასით და წარმოადგინეთ ჯარიმის გადახდის ქვითარი და მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული შესაბამისი დადგენილება.

ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.